

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
The Folklore State Centre of Georgia

**კ ა ვ ს ა ძ ე ე ზ ი**

მონოგრაფია

**K A V S A D Z E S**

monograph

*ედენება დათაშკა კავსაძის დაბადებიდან 100 წლისთავს*

*Dedicated to the 100<sup>th</sup> anniversary since Datashka (Davit)  
Kavsadze's birth*

თბილისი 2007  
Tbilisi 2007

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი დახმარებისათვის მადლობას უხდის: კახი და ანზორ კავსაძეებს, პატიკო ტატიშვილს, ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს, კინოფოტოფონო არქივის დირექტორს მარლენ კიტიას, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორს ანდრო ბედუკაძეს.

ტექსტის ავტორი და რედაქტორი — ბაია ასიეშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნანა კალანდაძე

ნანა ვალიშვილი

ნუნუკა შველიძე

თეა კასაბური

დამკაბადონებელი — კახა წურწუმია

ნიგნი დაიბეჭდა შპს „ფავორიტში“

The State Folklore Centre of Georgia thanks for the assistance: Kakhi and Anzor Kavsadzes, Patiko Tatishvili, Teona Iashvili (General Director of the National Archive), Marlen Kitia (Director of the Cinema-Photo-Phono Archive), Andro Bedukadze (Director of Ilia Chavchavadze's Home-Museum in Saguramo).

Author and editor of the text: Baia Asieshvili

Works for this publication were performed by:

Nana Kalandadze

Nana Valishvili

Nunuka Shvelidze

Tea Kasaburi

Typographic design by Kakha Tsurtsumia

The book was printed in "Favoriti", Ltd.




ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერამ განვითარებისა და სრულყოფის ხანგრძლივი პერიოდი განვლო. დიდი მომღერლების, მომღერალი გვარების, ჩვენი ლოტბარ-მგალობელთა წარმოჩენა-გამომზეურების „ოქროს ხანა“ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დადგა, როცა დაიწყო მათი ჩანერა-დაფიქსირება და ქართული სიმღერების სცენაზე შესრულება. ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნება ეროვნული ცნობიერების თვალსაწიერში მოექცა და ეროვნული მეობის გამოხატვის ერთ-ერთ ნიშანსვეტად იქცა. ქართველ კაცს ბუნებრივი მოთხოვნილება გაუჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერის ერთად თავმოყრისა და ამ ერთიანობის სცენაზე ხილვისა. ამდენად, მეორეული სასიმღერო ფოლკლორის წარმოშობა გარდაუვალი აღმოჩნდა. აღნიაშვილ-რატილის პირველი გუნდის შემდეგ ეს მისია, XIX საუკუნის მიწურულს, სანდრო კავსაძის „ქართულმა გუნდმა“ იკისრა და პოპულარობით რატილისას გაუტოლდა. „კავსაძეების მომღერალ გვარზე წერა არ არის ადვილი. ეს გვარი, როგორც კარბელაშვილები, ფალიაშვილები, დუმბაძეები, ჩავლეიშვილები, ერქომაიშვილები და სხვები, თავისებურებებით გამოირჩევა. სიმღერით გატაცება და სიყვარული ამ გვარში თაობიდან თაობაზე გადადის“ (ლადო გეგეჭკორი, „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი).

კავსაძეთა გვარის მოდემას, წინა თაობებს, მხოლოდ **გრიგოლ კავსაძისგან** შეგვიძლია მივადევნოთ თვალი. უცხოვრია სოფელ ხოვლეში, ყოფილა მღვდელი, კარგი მომღერალი და მგალობელი, მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი. გრიგოლის შვილებისაგან სასიმღერო-სამგალობლო ტრადიცია ძმებმა — სანდრომ და ლონგინოზმა და მათმა შთამომავლებმა — ანდრო, მიხეილ, გიგუშა, დათაშკა, ნიკოლოზ(კოლია) და ანზორ კავსაძეებმა გააგრძელეს და თავისი სიტყვა თქვეს ქართული ხალხური სიმღერის საშემსრულებლო და სალოტბარო ხელოვნებაში.


# ბრიგოლი

ლონგინოზი    ილია    იოსებები    გოლა    სანდრო    მამო    ეკატერინე



## სანდრო კავსაძე (1874-1939)

საქართველოში საგუნდო მღერის სათავეებთან სანდრო კავსაძე დგას. სანდრომ უდიდესი როლი შეასრულა ქართლ-კახური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში. „მისი, როგორც შემსრულებელ-სოლისტის უზადო ოსტატობა, დიდი დიაპაზონის, იშვიათი სილამაზის კოლორიტული ხმა (ტენორი) და ქართლური კილოს არაჩვეულებრივი, თავისებური ინტერპრეტაცია ალაფრთოვანებს მსმენელს, ხოლო მის მიერ ნამღერი „ურმული“ და „მთაო, გადმიშვი“ დღემდე სამაგალითო რჩება“ (ანზორ ერქომაიშვილი).



სანდრო კავსაძე  
**Sandro Kavtsadze**

სანდრო კავსაძე დაიბადა 1874 წელს სოფელ ხოვლეში (დღევანდელი კასპის რაიონი). სიმღერა მამამ შეასწავლა, სიმღერა-გალობაში კი გორის სასულიერო სასწავლებელში სიმონ გოგლიჩიძესთან დაოსტატდა. ლოტბარმა სანდრო სასწავლებლის გუნდში თავის მოადგილედ დანიშნა. ამ გუნდში ეუფლებოდა სიმღერა-გალობას სოსო ჯუღაშვილიც (სტალინი). სანდრო კავსაძე 15-17 წლისა ლოტბარობდა, თან შესანიშნავი ხმით მსმენელთა ყურადღებას იპყრობდა. გორის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში რამდენიმე თვე სწავლობდა და, მონაფეთა არეულობაში მონაწილეობისათვის, ორას სემინარიელთან ერთად, სემინარიიდან გარიცხეს. ამ დროს სანდრო კავსაძეს უკვე ლადო აღნიაშვილის გუნდის სოლისტად იწვევენ.

1893 წელს 19 წლის სანდრო კავსაძე გორში აყალიბებს „ქართულ გუნდს“ — რატილის შემდეგ მეორე გუნდს. გუნდში მღეროდნენ თავისი ძმისწული მიხეილ კავსაძე და ვანო სარაჯიშვილი. სანდროს, მიშასა და ვანოს ნამღერი ატყვევებდა მსმენელებს. გორში გამოსვლის შემდეგ ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეს და გუნდის ხელმძღვანელს სოსო ჯულაშვილს უთქვამს: რამდენიმე ხანს გორში კონცერტებს აღარ გავმართავთ, გორელებს კავსაძის გუნდის ნამღერი უნდა დაავინყდეთო.

1896 წელს სანდრო კავსაძე უკვე თბილისში აყალიბებს გუნდს. გუნდმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. სანდრო ზუსტად იცავდა ხალხური მუსიკალური აზროვნების კანონზომიერებებს. იგი კარგად იცნობდა ქართლის სოფლებს. განსაკუთრებით აინტერესებდა ქართლ-კახური სიმღერები, ამ მარგალიტებს ეძიებდა, კრებდა და შეჰქონდა თავისი გუნდის რეპერტუარში, თან მოსწავლე ახალგაზრდობას ასწავლიდა. თბილისში გუნდის შექმნის პარალელურად მასწავლებლობდა თბილისის, მცხეთისა და წინამძღვრიანთკარის



სანდრო კავსაძე ილიაობაზე, 1896

Sandro Kavsadze at Ilioba (Ilia Chavchavadze's birthday celebration), 1896

სკოლებში. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამაარსებელს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძის მეგობარს, ილია წინამძღვრიშვილს სანდრო კავსაძე სიმღერა-გალობის მასწავლებლად მიუწვევია. ახალგაზრდა მომღერლისა და ლოტბარის მოღვაწეობა აღაფრთოვანებდა დიდ ილიას. თურმე განსაკუთრებით მოსწონდა სანდროს შესრულებული „ურმული“ და „ოროველა“. მიხეილ ჯავახიშვილს შემოუნახავს მეტად საინტერესო მოგონება საგურამოში — „ილიაობაზე“ — წინამძღვრიანთკარის სკოლის მოწაფეებისა და მასწავლებლების, მათ შორის, სანდრო კავსაძის სტუმრობის შესახებ: „ილიას დღეობაში ზედიზედ ოთხჯერ ვიყავი. 1896 და 1897 წელს ჩვენს გუნდს ორდენოსანი სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა. მე პირველ ხმას ვამბობდი, ის კი მოძახილს... იმ დღეს დილით გალობაში კიდევ ერთხელ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავენიეთ. წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის, მას მომღერალთა გუნდი მისდევს... ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავცახეთ:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,  
დღე გათენდა დიდებისა,  
თოფ-იარალი აისხით,  
დრო მოდის გამარჯვებისა!

წინ ილია გამოგვეგება, გარს შემოვეხვიეთ და სიმღერა დავასრულეთ...

ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „მურმანო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „აღსდევ, გმირთ-გმირო“, „ჩუხ-ჩუხით ჩამორბოდა“ და მრავალნაირი „მრავალჟამიერი“. ვულგარულ „შენი ჭირიმეს“ და რატილის კილოებს ილიას ხალხური სიმღერა ერჩივნა. ეს ჩვენც ვიცოდით და თითქმის მხოლოდ ლადო აღნიაშვილის რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს გვეუბნებოდა, მაგრამ სმენა არ უვარგოდა და ამიტომ მისი ხმა დისონანსად ისმოდა. ჩვენ, რა თქმა



3. სანდრო კავსაძე (ზის)  
**Sandro Kavsadze (sitting)**

უნდა, ვერაფერს ვუბედავ-  
დით. სამაგიეროდ, ერთმა  
გლებმა შეუბედა და გააჩუმა.  
„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“  
ილიას გაგიჟებით უყვარდა.  
ეს სიმღერა ჩვენი გუნდის შემ-  
დეგ გლებებმა დაიწყეს. ილია  
მაშინვე იქ გაჩნდა, ორ გლებს  
მხრებზე მოეხვია და ბანი მი-  
აყოლა. მეც იქ გავჩნდი და  
ერთი მოკლე დიალოგი კარ-  
გად გავიგონე:

— ილიავ, გაჩუმი, —  
უთხრა გლებმა.

— ვერ გავჩუმიდები, —  
მიუგო ილიამ, — ეგ სიმღერა  
ძლიერ მიყვარს და მეც უნდა  
ვიმღერო.

— ილია, გაჩუმი, თორემ ჩვენ გავჩუმიდებით.

— კარგი, ისევ მე გავჩუმიდები, — უთხრა ილიამ და ის სიმღერა  
ხანგამოშვებით სამ-ოთხჯერ ათქმევინა“.

...სრულიად ახალგაზრდა მომღერალსა და ლოტბარს სანდრო  
კავსაძეს მთელ საქართველოში იცნობდნენ. მაშინდელი საზოგა-  
დოება და მსმენელი მომზადებული აღმოჩნდა ქართული ხალხური  
მუსიკალური ხელოვნების მისაღებად, გასაცნობიერებლად და გა-  
სათავისებლად. იმდროინდელი პრესა უყურადღებოდ არ ტოვებდა  
სანდრო კავსაძის გუნდის არცერთ კონცერტს, ყოველთვის ეხმაუ-  
რებოდა მის საშემსრულებლო ოსტატობას.

1897 წელს ფოთის ქალაქის თავმა, დიდმა საზოგადო მოღვაწემ  
და პულიცისტმა, ნიკო ნიკოლაძემ, სოფრომ მგალობლიშვილის  
რჩევით, ფოთში გამოიძახა ახალგაზრდა სანდრო კავსაძე და მას  
სახელდახელოდ გუნდის შექმნა სთხოვა. ნაუცბადებად შექმნილმა  
გუნდმა, რომელშიც შემდეგში ცნობილი მომღერლები — ბესარიონ  
ჩიჩუა, ბანძლი ნოდია, კოსტა განერელია და სხვები — მონაწილე-



ობდნენ, რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტი გამართა და მაცურებელთა დიდი მონონება დაიმსახურა. თავად სანდრომ კი „თავისი მშვენიერი სიმღერით ისე აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რომ რამდენიმეჯერ გამოწვეული იქნა სცენაზე და დაჯილდოებული ტაშის ცემით, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, მიერთვა დაფნის გვირგვინი და ძვირფასი საჩუქარი ზედ წარწერით: საყვარელ მომღერალს ბ-ნ ალ. კავსაძეს ფოთის საზოგადოებისაგან“. აღნიშნულმა კონცერტმა სტიმული მისცა ძუკუ ლოლუას მთელ თავის შემდგომ მოღვაწეობაში“ (ლადო გეგეჭკორი, „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი).

900-იან წლებში სანდრო კავსაძე სონია ციციშვილზე დაქორწინდა. იტკიცეს ციციშვილებმა — ფანასკერტელ-ციციშვილის ქალმა ვილაც უბრალო მომღერალზე როგორ დაინერა ჯვარიო!.. ციციშვილის ქალბატონი თავდადებული მეუღლე და დედა გამოდგა, წარბშეუხრელად იტანდა ცხოვრებისეულ სიძნელეებსა და პრობლემებს. სანდროს მეუღლე ადრე გარდაეცვალა და მარტომ გაზარდა სამი შვილი — გიგუშა, დათაშკა და რიტა (მარგარიტა).

1911 წელს სანდრო კავსაძემ თავისი გუნდი ძმისწულს, მოსკო-



ქართლ-კახური სიმღერების გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით, 1910  
Group of Kartli-Kakhetian song performers, directed by Sandro Kavsadze, 1910



**სანდრო კავსაძე და ძუკუ ლოლუა აკაკი წერეთელთან ერთად ჭიათურაში, 1912**  
**Sandro Kavsadze and Dzuku Lolua together with Akaki Tsereteli in Chiatura, 1912**

ვიდან ახლად დაბრუნებულ მიხეილ კავსაძეს გადასცა, თავად კი სამუშაოდ და გუნდების შესაქმნელად ჭიათურაში გადადის. ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა სანდრო კავსაძემ იმერეთში. ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროელთა გუნდების გარდა, გუნდებს აყალიბებს საჩხერეში, ზესტაფონსა და ქუთაისში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 1930 წელს მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს.

1937 წლისთვის სტალინიმა ქართველთათვის სამი დიდი მოვლენა ჩაიფიქრა, ერთ-ერთი მოსკოვში ქართული ხელოვნების პირველი დეკადის გამართვა იყო. დიდ ტრიუმფს, სტალინთან შეხვედრის დეტალებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გუნდის წევრები, თითოეული დამსწრე სხვადასხვანაირად იგონებს.

1935 წელს სანდრო იმერეთიდან თბილისში გადმოჰყავთ და დეკადისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის შექმნა-მომზადებას ავალებენ. მოადგილედ უმცროსი ვაჟი დათაშკა დაუნიშნეს. ქორეოგრაფიულ ნაწილს ილიკო სუხიშვილი უძღვებოდა. საკმაოდ მოკლე დროში სანდრო კავსაძემ ერთ მთლიანობად შეკრული მრავალრიცხოვანი გუნდი ბრწყინვალედ გამოიყვანა მოსკოვში. სადეკადო შემაჯამებელი კონცერტი 1937 წლის 8 იანვარს მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართა.

ქეთევან პაჭკორიას მოგონება:

„...სტალინი სანდრო კავსაძეს მიუბრუნდა: ახალგაზრდა რომ იყავი, მჯობნიდი, ახლა კი მე გჯობნიო. მერე უთხრა: — სიმღერაში კირილემ გაჯობა! — მაჯობებდა, აბა რა, — უპასუხა სანდრომ, — ჩემი საუკეთესო მომღერლები დაიჭირეს. — როგორ თუ დაიჭირეს?! — გაბრაზდა სტალინი და ბერიას უბრძანა, ამ ნუთმივე გაათავისუფლო... ესენი იყვნენ: მიხა ჯილაური, ივანე და იოსებ მჭედლიშვილები და კიდევ არ მახსოვს, ვინ. მართლაც, პატიმრები იმავე ღამეს გაუთავისუფლებიათ, ეტყობა, იმ წამსვე დაურეკავს ბერიას მოსკოვიდან და სტალინის ბრძანება შეუსრულებია.“

დეკადის შემდეგ სანდრო კავსაძე კრემლის საავადმყოფოში იწვა, ავად იყო, ყელი სტკიოდა. მან წერილი მიიღო სტალინისაგან. კონვერტზე რუსულად ეწერა: „Товарищу Александру Кавсадзе, от Сталина“. წერილში კი ქართულად სწერდა: „სანდროს გაუმარჯოს! გავიგე შემთხვევით ეგნატაშვილისაგან, რომ საავადმყოფოში ყოფილხართ, ამბობენ თქვენზე — ჩქარა მოკეთდებაო. თუ საჭიროა



სანდრო(მარცხნივ) და გიგუშა(მარჯვნივ) კავსაძეები  
Sandro(left) and Gigusha(right) Kavsadze



სანდრო კავსაძე (ზის)  
**Sandro Kavsadze (sitting)**

ინვიეს. გუნდს უკვე დათაშკა ხელმძღვანელობდა. გასტროლებმა ტრიუმფით ჩაიარა და 1937-38 წლებში კონცერტებით მოიარა რუსეთის უდიდესი ქალაქები. ამ პერიოდში გუნდმა ოცზე მეტი სიმღერა ჩანერა: „ჭონა“, „თებრონე“, „ბრძანა სოლომან“, „ფერხული“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ „ჰერი, ბიჭო, ბაჩასაო“ „ცანგალა“ „ვისია, ვისია“, „მოდისო მტერი“, „ვარადო“; „მურმან“, „შარი-შური“, „ზამთარი“, „მეტიური“ და სხვა.

თბილისში დაბრუნებულმა სანდრომ მუშაობა ველარ გააგრძელა. ვერც კრემლის საავადმყოფოში მკურნალობამ უშველა. სანდრო კავსაძე გარდაიცვალა თბილისში, 1939 წლის 12 ივნისს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

რითიმე მოგეხმაროთ, — მითხარით. მე მზათა ვარ მოხმარებისთვის. იცოცხლეთ ათასი წელიწადი. სალამი!

თქვენი სოსო. 9/IX 37 წ.“

1937 წლის 15 იანვარს სანდრო კავსაძე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. მისი გუნდიდან „საპატიო ნიშნის“ ორდენები მიიღეს ილიკო სუხიშვილმა, გიორგი ვარდიშვილმა, ქეთევან მიქელაძემ და ვლადიმერ ხეთაგურმა.

თბილისში დაბრუნებული სანდრო კავსაძის გუნდი მალე საგასტროლოდ ლენინგრადში მი-



სტალინის ნაქონი ჩიბუხი  
**Pipe that once belonged to Stalin**

## დათაშკა კავსაძე (1907 — 1952)

დათაშკა კავსაძის მწირი ბიოგრაფია პირველად ლადო გეგეჭკორის ნიგნში — „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ — დაიბეჭდა, დაბადებამდე გარდაცვალების თარიღის გარეშე. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა სამამულო ომში განწვევით და 1941 წელს ქერჩში დაღუპვით მთავრდებოდა. იმ დროს სხვაგვარად არც შეიძლებოდა — სიმართლეს არავინ დაბეჭდავდა. დათაშკას დაჭერისა და გადასახლების შემდეგ ეს გვარი თითქოს არც არსებობდა ქართულ ხალხურ სიმღერაში. სინამდვილეში დათაშკა კავსაძემ 45 წელი იცოცხლა და 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა. მისი ნამდვილი ბიოგრაფია პირველად ახლა, 2007 წელს იწერება.

დავით კავსაძე დაიბადა 1907 წლის 10 აგვისტოს. სანდრო კავსაძის ოჯახის საცხოვრებელი ადგილების ხშირი ცვლის გამო სწავლობდა ჭიათურაში, ტყიბულში, ქუთაისში, ბოლოს 1926 წელს ჭიათურაში დაამთავრა საშუალო სკოლა. 14 წლიდან ლოტბარობდა ჭიათურის საშუალო სკოლის გუნდს. სკოლის დამთავრებისთანავე დაინიშნა შორაპნის რკინიგზის სკოლაში სიმღერის მასწავლებლად, მომდევნო წელს ქუთაისის ვაჭრობის მუშაკთა კლუბში მომღერალთა გუნდის ლოტბარად. 1929 წელს თბილისის მეორე სამუხიკო სასწავლებელში შედის. სამ წელიწადში ძლევს მთელ კურსს



დათაშკა კავსაძე  
Datashka Kavsadze



**დათაშკას ოჯახი**  
**Datashka's family**

და კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, მესამე კურსიდან კი სადირიჟორო ფაკულტეტზე გადადის. ამავე დროს ხელმძღვანელობს თბილისის სკოლების, ტექნიკუმებისა და მუშფაკების გუნდებს. 1929 წლიდან ძმები — გიგუშა და დათაშკა კავსაძეები — საქართველოს პირველ, მეორე და მესამე ოლიმპიადაზე სანდრო კავსაძის ტყიბულის მალაროელთა გუნდის წამყვანი ხმები იყვნენ. 1935 წლიდან, როცა სანდრო კავსაძე სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდს, გუნდის ბირთვი ისევ მისი ვაჟები დარჩნენ. სალოტბარო

საქმეში სტუდენტობიდანვე დათაშკა დაოსტატდა.

ქართული ხელოვნების პირველი დეკადისათვის მზადება 1935 წლის მინურულიდან დაიწყო და სანდროს მოადგილედ ოფიციალურად უკვე თავისი ვაჟი დაუნიშნეს. დეკადისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში აგროვებდნენ საუკეთესო მომღერლებს. ეთნოგრაფიულ გუნდს შეუერთდნენ კახელი მომღერლები მიხა ჯილაურისა და ვანო მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით. ამასთან დაკავშირებით გიორგი ჯავახიშვილის წიგნში — „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“ — გოგლა ყავალაშვილის საინტერესო მოგონება არსებობს: „1936 წელს, დაახლოებით 15 სექტემბერს, 10 საათზე, ეზოს კარიდან ძახილი შემომესმა, გავედი, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელი ტიტო მგალობლიშვილი და კიდევ ოთხი უცნობი კაცი დავინახე, — ეს ამხანაგები თბილისიდან არიან მომღერლების

წასაყვანად ჩამოსულები, დღეს ჩვენს გუნდს შეამონებენ და უნდა მოხვიდეთ. ტიტომ როცა მოსული სტუმრები გამაცნო, აღმოჩნდა დავით კავსაძე, გიგუშა კავსაძე, გიორგი ვარდიაშვილი და პეტო ზვერიაშვილი. მათ ჩამოაგდეს ლაპარაკი ქართულ ხალხურ სიმღერებზე. თქვეს, შარშან მოსკოვში დასავლეთ საქართველოს მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდი იყო კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით და კარგი შეფასებაც მისცესო. ახლა, სტალინის უშუალო დავალებით, საქართველოს მთავრობამ დაიწყო ზრუნვა ქართლ-კახური სიმღერების აღსადგენად. მონახეს ძველი ლოტბარი სანდრო კავსაძე, რომელიც გვიხელმძღვანელებს, მთავრობამ გუნდის შესანახად ხარჯები გამოყო და შევუდევით ძველი მომღერლების შეკრებასო.

საღამო ხანი იყო. მგალობლიშვილს გუნდი მზად ჰყავდა და სტუმრების თანდასწრებით შევასრულეთ მთელი ჩვენი გუნდის რეპერტუარი. როცა მე და ბერუაშვილმა ვიმღერეთ „ჩაკრულო“, „მრავალჟამიერი“ და „ჩონგურო“, მომიბრუნდა დავით კავსაძე და მითხრა: ძია გოგლა, ხვალ სასტუმროში ამოხვალთ, მოვილაპარა-



დათაშკა მეგობრებთან  
Datashka with friends



**დათაშკა**  
**Datashka**

კოთო. გადანყდა ჩემი და ბერიაშვილის თბილისში წაყვანა. თბილისში რომ ჩამოვედით, სანდრო კავსაძემ გვითხრა: გამოცდაზე უნდა გაიაროთ, კომპოზიტორები და სიმღერის ოსტატები დაესწრებიან, ეცადეთ, კარგად იმღეროთო. გამოცდაზე მაშინ ვიმღერეთ „მრავალჟამიერი“ და „ჩონგურო“, რომლებიც ჩვენს სიმღერებად გამოცხადდა“....

1937 წლის მიწურულს, უმძიმესი რეპრესიების შემდეგ, სტალინმა, ქართველების გულის მოსაგებად, რუსთაველის 750 წლის იუბილევ აღანიშნინა, ილიას 100 წლისთავიც და ქართული კულტურისა და ხელოვნების პირველი დეკადაც. დეკადაში ისეთი ძალები მონაწილეობდნენ, ტრიუმფი გარანტირებული იყო და ასეც მოხდა. ამაზე ბევრი დაწერილა და კიდევ დაინერება. აქ ყურადღების ცენტრში სტალინი და ქართველებთან მისი დამოკიდებულება იყო. ამ ერთი კაცის სიტყვა, ჟესტი, გამოხედვა, საუბარი ხელოვნების ოსტატებთან, ქართული ხალხური მუსიკის მოღვაწეებთან ჯერაც ამოუწურავი

თემაა. მომღერლები ყველაზე მეტად დელავდნენ: სტალინს, თავადაც შესანიშნავი ხმისა და სმენის პატრონს, თავის დროზე ჩინებულ მომღერალ- მგალობელს ვერაფერს გამოაპარებდნენ. ერთი რამ ცხადია: ბელადმა ყველასთან გამონახა საერთო ენა და ყველას გული მოიგო. ყველაზე შთამბეჭდავი ორმოცი წლის შემდეგ ყოფილი სემინარიელების შეხვედრა იყო (ამ შეხვედრის შესახებ დათაშკას ვაჟისთვის — კახი კავსაძისათვის — უამბნია უშუალო



მხილველს — აკაკი ძიძიგურს): პოლიტიურს ნევრებსა და დეკადის მონანილეებს შორის გიორგიევსკის დარბაზში გაიმართა შეხვედრა. ყველა ბელადს ელოდა. სცენარის მიხედვით, სტალინი ბოლოს უნდა შემოსულიყო, შემოვიდა და იგრიალა ვაშამ. სტალინი-მა ხელი ანია, ყველა გააჩუმა და მიმოიხედა — თვალებით ვილაცას ეძებდა. ხალხი ადელდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო... ბოლოს სტალინიმა ჩუმად იკითხა: სანდრო აქ არის? — ყველამ შვებით ამოისუნთქა. გაკეთდა ცოცხალი დერეფანი — თავში დიდი ბელადი დგას, ბოლოში — სანდრო და უყურებენ ერთმანეთს. პირველი ნაბიჯი სტალინიმა გადადგა, წამოვიდა სანდროც, შუაში შეხვედნენ ერთმანეთს და გადაეხვივნენ. „შენ არ შეცვლილხარ“, — უთხრა სტალინიმა და მხარზე ხელი დაჰკრა. სანდრომაც იგივე შესტი გაიმეორა. სტალინიმა კიდევ ერთხელ გაუმეორა: „შენ მართლა არ შეცვლილხარ“... შემდეგ ჩუმად რალაცაზე საუბრობდნენ: თითქოს სტალინის უთქვამს მეგობრისათვის — შენ ხომ იცი, მე დიდი კაცი ვარ და ბევრის გაკეთება შემიძლია. მთხოვე, რამე არ გინდაო? — შენ რომ ეწევი, ეს ჩიბუხი მაჩუქეო, — დაუფიქრებლად უთხოვია სანდროს. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სტალინის ნაჩუქარი ჩიბუხი,



დათაშკა კავსაძე შორაპნის გუნდის წევრებთან ერთად  
**Datashka Kavsadze with the members of the Shorapani group**



ქართული ხალხური სიმღერების გუნდი დათაშკა კავსადის ხელმძღვანელობით, 1938  
Group of Georgian folk song performers, directed by Datsgha Kavtsadze, 1938

ბელადის წერილთან ერთად, ახლაც კახი კავსაძის ოჯახში ინახება. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, უთხრა თუ არა სანდრომ სტალინს, რომ თავისი ვაჟებიც მომღერლები იყვნენ და იმჟამად იქ იმყოფებოდნენ. მაშინ სანდრო კავსაძე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ 1941 წელს მისი ორივე ვაჟი ქერჩის სასაკლაოზე მოხვდებოდა, გიგუშა დაიღუპებოდა, დათაშკა კი ტყვედ ჩავარდებოდა, რვა წლის შემდეგ სამშობლოს ღალატი დაბრალდებოდა, დააპატიმრებდნენ და თავისი რძალი თამარ ცაგარეიშვილი სანდროს სახელით სტალინთან შელწევას და ქმრის სიცოცხლის გადარჩენას შეეცდებოდა. მანამდე კი 1937-1939 წლები დიდი ტრიუმფი იყო აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდისა და, პირადად, დათაშკა კავსაძისათვის. „მწყობრი მღერით“, როგორც მაშინდელი პრესა წერდა, ანსამბლმა კონცერტები გამართა მოსკოვში, ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. მამის მძიმე ავადმყოფობის გამო გუნდს, ფაქტობრივად, დათაშკა ხელმძღვანელობდა... 1939 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები გაერთიანდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად: სამხატვრო ხელმძღვანელი გრიგოლ კოკელაძე, ლოტბარები კირილე პაჭკორია და დათაშკა კავსაძე, ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი, ჩონგური და ფანდური — ავქსენტი მეგრელიძე.

1941 წელს სამამულო ომის დასაწყისში 34 წლის დათაშკა ისევ სახელმწიფო ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მაგრამ დეკემბრის მიწურულს ომში გაინვიეს და „იქიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულა“, მაგრამ აქედან იწყება ის, რაც მრავალი წელი მიჩქმალული და ტაბუდადებული იყო.

კახის ნაამბობიდან: „იმ დროს ანსამბლის რიგით მომღერლებს ჰქონდათ ჯავშანი, არამც თუ ხელძღვანელს. ძალაუნებურად იფიქრებ: „ჩაუნყვეს“ და განგებ დაუმაღესო. მამაჩემიც ადგა, დაიხურა ქუდი და წავიდა ფრონტზე. რა თქმა უნდა, ქერჩში უკრეს თავი (მოგვიანებით დათაშკა სწერდა დედაჩემს, ქერჩში ზღვაც იწვოდაო). როცა ტყვედ ჩავარდა, მერე თქვეს, აგერ არ იყო ჯავშანი?! კავსაძეები მტრიანი გვარია, მაგრამ ესეც ხომ არის, „კარგია მუდამ მტრიანი“! ტყვედჩავარდნილ ოფიცრებსა და პოლიტხელებს გერმა-



ქართველი ტყვეების გუნდი  
Group of Georgian captives





**თამარ ცაგარეიშვილი, კახი და იმერი კავსაძეები**  
**Tamar Tsagareishvili, Kakhi and Imeri Kavsadzes**

ნელები ადგილზე ხვრეტდნენ. დათაშკას ჩხრეკისას ფოტოსურათი უპოვეს: მეუღლე და ორი პატარა ბიჭი — მე და იმერი. დიდხანს უყურა გერმანელმა ოფიცერმა ფოტოს, მერე დათაშკას და უთქვამს: ასეთი ცოლ-შვილისა და გარეგნობის კაცი კომუნისტი ვერ იქნებო. იმჯერად დათაშკა აშკარა სიკვდილს გადაურჩა. ჩვენ დიდხანს არ ვიცოდით მისი ტყვედ ჩავარდნის ამბავი — დალუპული გვეგონა. გვიან გავიგეთ: საფრანგეთშია, ქართველი ტყვეებისაგან გუნდი შეუქმნია და სიმღერებს ასწავლისო. გერმანელები იმათ უშვებდნენ საკონცენტრაციო ბანაკიდან, ვისაც დასავლეთში ნათესავები ჰყავდა. დათაშკასთან ერთად ტყვედ იმყოფებოდა ვალოდია ხარბედია, საფრანგეთში ჰყავდა ნათესავები და გაუშვეს. სწორედ მას უთქვამს ქართული ემიგრაციისათვის დათაშკა კავსაძის ტყვეობის ამბავი და იგი საფრანგეთის ქართველობამ პარიზში წაიყვანა. მას გუნდის შექმნა შესთავაზეს. ქართული გუნდის შექმნის მიზეზით შედიოდა დათაშკა საკონცენტრაციო ბანაკებში და გამოჰყავდა ქართველები: შევიდოდა და ქართულად იკითხავდა, ვინც ქართველი ხართ, გამოდითო. ვისაც ქართული ესმოდა, ყველა გამოდიოდა

— აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი. გერმანელებს უკვირდათ: ამდენი კაცი გუნდში რად გინდათო?! ესენი ჯერ ავადმყოფები არიან, გამოჯანმრთელდებიან და გაირკვევა, ვის შეუძლია სიმღერა და ვის არაო, — უხსნიდა დათაშკა. ბევრი შემხვედრია მამაჩემის გადარჩენილი. ერთმა ქართველმა მითხრა ავსტრალიაში: მამაშენს ვუთხარი, ცხოვრებაში არ მიმღერია-მეთქი. წადი, წადი, თავს უშველეო. ასე გადაარჩინა უამრავი ადამიანი სიკვდილს. პრაქტიკულად, საკონცენტრაციო ბანაკში ქართველი არ დაღუპულა, მაგრამ, ვინც გადარჩა და დაბრუნდა, აქ ყველა დაიჭირეს და გადაასახლეს“.

ქართველ ტყვეთა გუნდი საფრანგეთში მართლაც შეიქმნა და, მის ხელმძღვანელზე ადრე, რალაც გზებით გუნდის სურათმა საქართველოში ჩამოაღწია. კახი კავსადის ოჯახში ახლაც ინახება ეს უნიკალური ფოტო. მაშინ მათთან ჩუმად ბევრი დადიოდა, უკვალოდ დაკარგული შვილების, ქმრებისა და ნათესავების ამოცნობას ლამობდნენ — ფოტოებს ადარებდნენ. ეს ფოტოსურათი დათაშკას მეუღლემ თამარ ცაგარეიშვილმა უბეში ჩადებული გადაარჩინა — ჩხრეკისას ამდენი ვერ გაბედე და ხელი ვეღარ ჩაუყვეს. თამარი „КГБ“-ს ხალხს ეუბნებოდა: „რას ეძებთ, ბატონებო, ჰიტლერის წერილებს ხომ არაო“?!. ტყვეების გუნდის რეპერტუარი ჩაწერილია, გადარჩა თუ უკვალოდ გაქრა, ძნელი სათქმელია. იქნებ საფრანგეთის რომელიმე არქივში ინახება. ეს მომავალი კვლევა-ძიების საგანია...

1945 წლის დეკემბერში ტყვეთა გუნდი ამერიკაში საგასტროლოდ უნდა წასულიყო. დათაშკა ამის მაგივრად მოსკოვში დაბრუნდა. ეუბნებოდნენ — დაგიჭერენო. მას უკვირდა: რა დავაშავე, რატომ უნდა დამიჭირონო? მოსკოვში მიშა ჭიაურელს შეხვდა, მან ცოტა ხნით მოსკოვში დარჩენა ურჩია. ჭიაურელი სტალინთან უნდა შესულიყო და შენ შესახებაც ვეტყვიო, შეჰპირდა. დათაშკამ ვერ მოითმინა, თანაც ახალი წელი მოდიოდა, ოთხი



დათაშკა კავსადჟე  
Datashka Kavsadze

წელი ცოლ-შვილი არ ენახა და წამოვიდა.

ოჯახმა და ნათესაობამ საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს — შეაკონინეს თუ კირამ ჰქონდათ და სუფრა გაშალეს. ჩამოდგა მატარებელი... მაგრამ დათაშკა სოჭში აეყვანათ. კახის ახსოვს, დედამისი როგორ დარბოდა და ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდა: „Почему, почему!“ (მოგვიანებით, როცა კახის მოსკოვში კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩაბარება უნდოდა, მან ნოველა დანერა სათაურით „Почему“).

მეუღლემ და შვილებმა დათაშკა პირველად უშიშროების იზოლატორში ნახეს. ორივენი — კახი და იმერი — მუხლებზე დაისვა, ეფერებოდა და კახის ჰკითხა, — მუსიკას თუ სწავლობო? შემდეგ გისოსებს მიღმა აჩვენეს, მესამედ მივიდნენ და უთხრეს: წაიყვანესო. თამარმა მაშინვე თქვა: მორჩა, ის ველარ დაბრუნდებაო. ერთხელ წავიდა კიდევ მეუღლესთან გადასახლებაში — „სვერდლოვსკაია ობლასტ, სტანცია სოსვა“ — ეს იყო და ეს.

კახის ნაამბობიდან: „როცა მამა დაიჭირეს, დედაჩემს სულ უთვლიდა: როგორმე სტალინს შეატყობინეთ ჩემი ამბავი — სანდრო კავსადის შვილი დაჭერილია, როგორც სამშობლოს მოღალატეო. დედაჩემი წავიდა მოსკოვში, შეხვდა ეგნატაშვილს, მაგრამ სტალინამდე ვერ შეაღწია. ეგნატაშვილს უთქვამს: ომი ახალი დამთავრებულია, სტალინი ისეა დაკავებული, ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი — კალისტრატე ცინცაძე — სამი თვეა, სტალინის თხოვნითაა ჩამოსული და ვერა და ვერ შეხვდა... არ ვიცი, რამდენ ხანს დაგჭირდება ლოდინიო. დედაჩემი დიდხანს ვერ დარჩებოდა, ორი პატარა ბავშვი ნათესავეებთან ვყავდით დატოვებული. ამ ვიზიტმა ერთი შედეგი მაინც გამოიღო: ჩამორთმეული ბინა დაგვიბრუნეს და ოჯახმა ამ მხრივ მაინც იგრძნო შევება.“

სტალინის გარდაცვალების შემდეგაც საკმაოდ დიდხანს ისევ აკრძალული იყო კავსაძეთა ხსენება... შიშის სინდრომი კიდევ დიდხანს არსებობდა: ბებიაჩემი, მარი ზურაბოვნა — რობაქიძის ქალი — ციციშვილის ქალბატონივით ისიც „მოინგლისურ-მოფრანციცულე“ — კატეგორიულად უარყოფდა გრიგოლ რობაქიძესთან ნათესაურ კავშირს. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ღვიძლი ბიძაშვილები ყოფილან...“

ისევ კახის მოგონებიდან:

„1960 წელი, ოცდახუთი წლის ბიჭი რიგაში ვიმყოფები გადაღე-



ბაზე, ნომერში შევედი, რადიო ჩავრთე და რაღაც გამოაცხადეს. მივხვდი, ხალხურ სიმღერებს გადმოსცემდნენ. უცებ გვარი კავსაძე გავიგონე. მე მეგონა, რამდენიმე დღის წინ ინტერვიუ აიღეს ჩემგან და ალბათ იმას უშვებენ-მეთქი. და უცებ: „სატივეზე ტივი შევკარ...“ — დაიწყო გიგუშამ, აჰყვა დათაშკა (მამას პატარა ხმა ჰქონდა). ეგენი რომ მღეროდნენ — გიგუშა და დათაშკა!.. ისეთი პასაჟია ერთი „მეტიურში“ — ერთ სუნქვაზე სრულდება — კარუზოს კადენციასავით... სენტიმენტალისტი არა ვარ, მაგრამ მარტო ვიყავი ნომერში და მთელი ხმით ვიტირე... მამაჩემის ცხოვრებაზე ფილმის გადაღება უნდოდათ. მთავარი გმირი მამაჩემის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით მისი დაკითხვის ოქმები ამოიღეს. მე ძალიან განვიცდიდი, ველავდი — ასეთი საბუთები ყოველთვის საშიშია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მითხრეს: კახი, ნაიკითხე და არ შეგრცხვებაო. სამწუხაროდ, ფილმის გადაღება რატომღაც არ მოხერხდა. მამაჩემი რეპრესირებულია, მაგრამ რეაბილიტირებული — არა. განგებ არ ვაკეთებ ამას: მამაჩემი ჩემთვის ყოველთვის იყო ნიმუში კარგი, ყველაზე წესიერი კაცისა. რაც ცხ-



თამარი, კახი და იმერი  
Tamar, Kakhi and Imeri

ოვრებაში ფეხი შევდგი, არასოდეს მქონია მშობლების კომპლექსი — ძალიან კარგი მშობლები მყავდა. „უი, დათაშკას შვილი ხარ?“ — მასზე ყოველთვის მხოლოდ კარგი მესმოდა. დედაჩემმა ჩემს ხელში დალია სული. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო — „დათაშკა“ და გარდაიცვალა. დედაჩემი მამამთილის, სანდრო კავსაძის, გვერდითა დასაფლავებული“.

პატიკო ტატიშვილის მოგონება:

„მამაჩემი — აკაკი ტატიშვილი — დათაშკა კავსაძის ტყვეთა გუნდში მღეროდა. 1946 წელს დაბრუნდა გერმანიიდან და 1948 წლის გაზაფხულზე დაიჭირეს. მიუსაჯეს 25 წელი პატიმრობა, შემდეგ ხუთი წელი გადასახლება. მაშინ მამა 33 წლის იყო. სასჯელს იხდიდა შორეულში — მორდოვეთის ასსრ-ში. 1955 წლის ზაფხულში დაბრუნდა. ამის შემდეგ მამას აღარ უმღერია — განაწყენებული იყო კომუნისტებზე. ტყვეობისა და ტყვეთა გუნდის ამბებს კი ხშირად იხსენებდა. ტყვედ 1942 წლის დეკემბერში ჩავარდა უკრაინაში.

მამაჩემი კარგად მღეროდა. ჭიათურიდან იცნობდა კავსაძეებს. სანდრო ხშირად სტუმრობდა ჩვენს ოჯახს. ბებიაჩემს, ჯაფარიძის ქალს, ბრწყინვალე ხმა ჰქონდა. სანდრო ეხვეწებოდა ბაბუაჩემს: თბილისში გამატანე, წერეთლები და იშხნელები ამასთან არაფერი იქნებაო. რა თქმა უნდა, ბაბუაჩემს არ უქნია — ცოლი მე ჩემთვის მინდაო. მამაჩემი სანდროს გუნდში მღეროდა, დათაშკასაც კარგად იცნობდა და გიგუშასაც. სწორედ დათაშკამ და არჩილ გომართელმა გამოიყვანეს ტყვეთა ბანაკიდან სამ ქართველთან ერთად და ოთხივე პარიზში წაიყვანეს. ამათგან ერთ-ერთი, თიანეთელი ბესო მგელიაშვილი, შარშან გარდაიცვალა. მამაჩემი და ბესო ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს, ძველ ამბებს იხსენებდნენ და ხანდახან ჩუმიად წაუღიღინებდნენ კიდევ. ბესო მგელიაშვილი ჩამოსვლისთანავე დაიჭირეს, ათი წელი მიუსაჯეს და უფრო დიდხანს იხდიდა სასჯელს. ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს მღეროდნენ დათაშკას გუნდში. შემდეგ საფრანგეთში თავის შენახვა გაჭირდა, ოთხივენი გერმანიაში დაბრუნდნენ და გიორგი მაღალაშვილის მამულში მუშაობდნენ, რომელიც იმ დროს „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი იყო.

მამაჩემი ორწელ-ნახევარი დაკითხვაზე დაჰყავდათ და მიზეზად ორი რამ დაუდეს: მაღალაშვილთან პროდუქციას ქმნიდი — ამით

გერმანიის ჯარს ეხმარებოდი და დათაშკას გუნდში ჩვენ წინააღმდეგ მღეროდიო (იგულისხმება რატილის „სამშობლო“, რომელიც კომუნისტების დროს აკრძალული იყო).

მამა დათაშკას ხშირად იგონებდა და ამბობდა: ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური შემსრულებელი, არაჩვეულებრივი ხმის პატრონი იყო, სმენაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტიყო. გიგუშას ხომ შესანიშნავი ხმა ჰქონდა, მაგრამ დათაშკა გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. როგორი მეგობრობა იცოდა?! — სულს ამოიღებდა და ჩაგიდგამდა!

მამაჩემი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მას ჩანწერები არ დაუტოვებია, უფრო ადრე კი ამ ამბით არც არავინ დაინტერესებულა...”

დათაშკა კავსაძე 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა თუ დახვრიტეს, მისი საფლავი უცნობია.

2007 წელს დათაშკა კავსაძეს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. სწორედ მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება ეს გამოცემაც.



ლონგინოზ კავსაძის ოჯახი  
Longinoz Kavsadze's family

## მიხეილ კავსაძე (1880-1951)



მიხეილ კავსაძე  
Mikheil Kavtsadze

ლონგინოზ კავსაძის უფროსი ვაჟი. თავის და-ძმებთან (ანდრო, ნიკო, ლადო, ვერა) ერთად ოჯახში ბავშვობიდანვე ისმენდა სიმღერა-გალობას; აქედან შეითვისა, შეიყვარა და ბოლომდე მას ემსახურა. ლონგინოზი სიონის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახური იყო. პირველად სწორედ სიონში მოუსმინა მიხეილმა აუშევის რუსულ მგალობელთა გუნდს და ძმები კარბელაშვილების ქართულ გალობას. ქართულმა გალობამ და რატილის გუნდის კონცერტებმა წარუშლელი კვალი დატოვა მომავალ ლოტბარზე. მას კარგად ახსოვს რატილის მიერ პაპა გრიგოლისა და მამა-ბიძების სიმღერების ნოტებზე ჩანერა. „ქართული ხოროს“ ხელმძღვანელს მათგან ჩაუწერია: „ზამთარი“, „შაშვიკაკაბი“, „ბრძანა სოლომან“, „ბერიკაცი“, „თამარ ქალო“, „ფარინა“, „ჩაუხტეთ“, „ღმერთო, მეც გადმომხედევი“, „ვაჟკაცსა ცოლის სიავე“, „შევსვათ ნითელ-ნითელი“, „ჭონა“, „ალილო“, „ყური მიგდეთ“, „მოდი, ვნახოთ

ვენახი“, „ნეტავი, გოგო“, „თეთრო ბატო“...


რვა წლის მიხეილი გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომელიც რამდენიმე წლის წინ თავისმა ბიძამ — სანდრო კავსაძემ დაამთავრა. ბიძა-ძმისწულს შორის ასაკობრივი სხვაობა ექვსი წელი იყო და მათ თითქმის ერთდროულად მოუხდათ მოღვაწეობა — მიხეილი ხანდახან კიდევაც „ეჯიბრებოდა“ თავის სახელოვან ბიძას. გორის სასწავლებელში სიმღერას, როგორც სანდროს, სიმონ გოგლიჩიძე ასწავლიდა, ქართულ გიმნაზიაში — ზაქარია ჩხიკვაძე და ია კარგარეთელი. დასავლეთ საქართველოს სიმღერები მიხეილს ფილიმონ ქორიძემ შეასწავლა.



**მიხეილ კავსაძე**  
**Mikheil Kavsadze**

1897 წელს მიხეილ კავსაძემ, ილია ჭავჭავაძის დახმარებით, ქართულ თეატრთან ჩამოაყალიბა საამხანაგო გუნდი, რომელმაც ორი წელი იარსება. ამავე დროს, ვანო სარაჯიშვილთან ერთად, სანდრო კავსაძის გუნდში მღეროდა, თან მის მოადგილედ მუშაობდა.

1900 წელს მიხეილ კავსაძე თხუთმეტი წევრისაგან შემდგარ საკუთარ გუნდს აარსებს. როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, სამ წელიწადში გუნდმა დიდი სახელი და სიყვარული მოიპოვა. გუნდი „ქართულ სახალხო კონცერტებს“ მართავდა და „პროვინციებსაც არ ივინყებდა“. 1906-1908 წლებში მიხეილ კავსაძის გუნდი მთელ საქართველოში მოგზაურობს, კონცერტებსა და ლექცია-კონცერტებს მართავს. „ცანგალა და გოგონას“ შესრულების დროს „გლეხურ ცეკვას შესანიშნავად ასრულებდა მიხეილის ძმა ანდრო, რომელიც შემდეგშიაც განაგრძობდა მოღვაწეობას სახელმწიფო ანსამბლებში, ხოლო მეორე ძმა ნიკო სიმღერების დამწყები იყო; უკანასკნელი დიდხანს ხელმძღვანელობდა გუნდებს ქართლსა და



**ლადო კავსაძე**  
**Lado Kavsadze**

კახეთში. იგი დიდხანს მუშაობდა ბორჯომის კულტსახლის დირექტორად და იქ არსებულ მომღერალთა გუნდის ლოტბარად. ლადო კავსაძე შემდგომში ოპერის არტისტი გახდა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი“ (ლადო გეგეჭკორი, „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“, 1954).

1909 წლის ზაფხულში, ივანე ჯავახიშვილის მიწვევით, ზაქარია ფალიაშვილს ხოვლეში ფონოგრაფზე ჩაუწერია სიმღერები ძმები კავსაძეების გუნდის შესრულებით. თვით ივანე და მისი ძმა დათაც მიხეილის გუნდში მღეროდნენ.

იმ დროსვე ჩაუწერია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ „ლეკურიც“ („ქართული“).

1910 წელი ოქროს ხანაა მიხეილ კავსაძის შემოქმედებაში. იგი ერთდროულად სამ გუნდს აარსებს: მუშათა (40 წევრი), გლეხთა (36 წევრი) და მოსამსახურეთა (26 წევრი). 1911-1914 წლებში კონცერტებით მოუვლიათ გორი, ცხინვალი, ნაღვერი, ჭიათურა, ბორჯომი, საჩხერე, სამტრედია, ლანჩხუთი, ხონი, ფოთი და საქართველოს სხვა ქალაქები და დაბები.

როგორც ცნობილია, 1911 წელს სანდრო კავსაძე სამუშაოდ ჭიათურაში გადადის და თბილისში თავის გუნდს ძმისწულს უტოვებს. შემორჩენილია 1910 წელს დაარსებული „ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდის“ (50 წევრი, ქულაჯებსა და გლეხურ სამოსში) პროგრამა. გუნდის რეპერტუარში სამოცამდე სიმღერაა, რომელთა დიდი ნაწილი (20-ზე მეტი) ანდრო და მიხეილ კავსაძეებს ჩაუწერიათ.

მიხეილ კავსაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში არ ყოფილა პერიოდი, რომ მას გუნდი არა ჰყოლოდა, პედაგოგიური საქმიანობა შეეწყვიტა ან ქართული სიმღერა-გალობის რაობაზე, ბუნებაზე, ხასიათზე და შემსრულებლობაზე სტატიები არ გამოექვეყნებინა. სიმღერებს კრებდა, ნოტებზე გადაჰქონდა, პრესასთან თანამშრომლობდა, როგორც თავისი გვარით, ასევე „ხოვლელისა“ და სხვა ფსევდონიმებით. მიხეილ კავსაძის გუნდები 1929 წლიდან ყველა

ოლიმპიადა-ფესტივალის მონაწილეა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცულია მიხეილ კავსაძის მიერ დაწერილი ავტობიოგრაფია და ლადო გეგეჭკორის ხელნაწერი მონოგრაფია — „მიხეილ კავსაძე“. ავტობიოგრაფიაში მიხეილი წერს: „სიმღერებს ვასწავლიდი როგორც თბილისში, ასევე რაიონებში, ვაარსებდი გუნდებს და ბევრი ხალხი ვაზიარე ქართულ მუსიკას, ნამეტნავად მუშები, რკინიგზელები, ტრამვაელები, ხელოსნები... სოფლად კიდევ გლეხები: კასპში, გურჯაანში, მცხეთაში. ამგვარად მე ვმუშაობდი 50 წელიწადი. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმული ვარ, საკუთარ ბინაზე ვმუშაობ აუარებელი მასალების დაგროვებაში ქართული მუსიკის შესახებ და სწავლითაც, ვინც მოისურვებს, ვასწავლი ყველას სიმღერებს და ვაცნობ მასალებს...“

ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე, პერსონალური პენსიონერი მიხეილ კავსაძე გარდაიცვალა თბილისში, 1951 წლის მაისში.



ქართლ-კახური სიმღერების გუნდი მიხეილის მეთაურობით  
Group of Kartli-Kakhetian song performers, directed by Mikheil Kavsadze, 1911

## ანზორ კავსაძე (1930)



ანზორ კავსაძე  
Anzor Kavsadze

ანზორ კავსაძე — სანდრო კავსაძის შვილიშვილი, გიგუშა კავსაძის უფროსი ვაჟი, ლოტბარი, საგუნდო საქმის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი.

დაიბადა 1930 წლის 7 აგვისტოს ჭიათურაში. სანდრო კავსაძე ორ ათეულ წელზე მეტი ჭიათურაში მოღვაწეობდა, ამიტომაც მისი ვაჟები — გიგუშა და დათაშკა — იქ დაიბადნენ და გაიზარდნენ. მომღერალი ოჯახის შვილს დედაც კარგი მომღერალი ჰყავდა — ალექსანდრა ლეჟავა (ჭულღიას ეძახდნენ) მღეროდა საოჯახო ანსამბლში, გიგუშასთან ერთად — ჭიათურის გუნდში. სიმღერას დედამ

აზიარა, მაგრამ დღესაც ახსოვს, ბაბუა როგორ ამღერებდა თავის სიმღერებს — „მე პანია მერცხალი ვარ“ და „ცის კიდური“. მოგვიანებით ანზორმა ერთ-ერთ ამ სიმღერაზე ცეკვაც დადგა („ცის კიდურზე“). შვიდი წლისას ნოტები და მუსიკის ანბანი რევაზ გოგინაშვილმა შეასწავლა, მაგრამ მალე მუსიკას ფეხბურთი ამჯობინა. თანაც, მშობლების დაშორების გამო, ექვსი წლისა კავსაძეების მუსიკალურ ოჯახურ გარემოს მოსწყდა და ჭიათურაში მეორე ბაბუასთან იზრდებოდა. კარგი სმენის პატრონი კარგადაც მღეროდა და ცოტას ფორტეპიანოზეც უკრავდა. სკოლაში სწავლისას გუნდიც ჰყავდა და, რომელი სიმღერაც იცოდა, იმასაც ასწავლიდა. სკოლა 1947 წელს დაამთავრა, ნიჭიერთა ათწლედში ნოტების უცოდინრობის გამო არ მიიღეს და იმავე წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა. მართალია, ეს სასწავლებელი არ დაუმთავრებია, მაგრამ ბევრს უმაღლის — წიგნ-



თან დამაახლოვა და მუშაობა მასწავლაო. გენი, ჯიში, საოჯახო ტრადიცია მაინც მუსიკისკენ ეწეოდა. მუსიკოსი დეიდას რჩევით, მეორე სამუსიკო სასწავლებელთან არსებულ ექვსთვიან კურსებზე შევიდა და... დიდი შემობრუნება მის ცხოვრებაში: ბრწყინვალედ ჩაბარებული გამოცდები ნიჭიერთა ათწლეულში, 1951 წლიდან კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, ჩაიკოვსკისა და სტალინის სახელობის სტიპენდიანტი, მეორე კურსიდან საქართველოს რადიოს კაპელის ხელმძღვანელი.

1956 წელს კონსერვატორია დაამთავრა და ასპირანტურაში ოდისეი დიმიტრიადის კლასში ჩაირიცხა. იმხანად კაპელის ხელმძღვანელად რუსეთიდან იან დუმინი ჩამოიყვანეს. ერთხანს კაპელაში ერთად მუშაობდნენ. ერთ-ერთ კონცერტს მიხეილ ჭიაურელი დასწრებია. ანზორის ნამუშევარი იმდენად მოსწონებია, უთქვამს: კავსაძე დუმინს არაფრით ჩამოუყვარდება, სახელმწიფო ანსამბლში კაცი არ გვყავს და იქ გადავიყვანოთო. დიდი რეჟისორის წინადადებით, 1959 წელს ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი დირიჟორი ხდება. ანსამბლს ხელმძღვანელობდა ვალერიან ცაგარეიშვილი, ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი შემდეგ რეზო ხონელიძემ შეცვალა. ანზორ კავსაძის პიროვნული თვისებები — შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, დროის შეგრძნება და მაღალი პროფესიონალიზმი — მალე დაეტყო ანსამბლს და 1957 წელს ქართული კულტურის დეკადაზე დამსახურებული წარმატება მოიპოვა.

ანზორ კავსაძე ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა და ეს თანამდებობა 1975 წელს საკუთარი სურვილით დატოვა (თავისი ბიძაშვილის, კახი კავსაძის თქმით, უკომპრომისო კაცია). მისი ხელმძღვანელობის დროს სახელმწიფო ანსამბლში მღეროდნენ ხალხური სიმღერის დიდოსტატები: ვანო მჭედლიშვილი, შალვა კოვზირიძე, ჰამლეტ გონაშვილი, ილია ზაქაიძე, როსტომ საგინაშვილი, ჯემალ ცხვედიანი... შესანიშნავი მოკრიმანჭულეები — ზინაიდა ბერსენაძე და მიშა შავიშვილი.

სახელმწიფო ანსამბლთან ერთად 24 ქვეყანაში ყოფილა, საბ-



საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, 1959  
State Ensemble of Folk Song and Dance of Georgia, 1959

ჭოთა კავშირის ქალაქებში წელიწადში 100-მდე კონცერტს ატარებდა.

რაოდენ დასანანია, რომ როგორც თავისთავზე, ასევე სხვებზე არაფერს ამბობს. ამდენის მნახველმა, ამდენის მცოდნემ ორი ცნობილი მომღერალი ძუნწად დაახასიათა. მოსწონდა ილია ზაქაიძის ფართო დიაპაზონისა და ჰამლეტ გონაშვილის თავისებური ლამაზი ტემბრის ხმები. სწორედ ანზორის ხელმძღვანელობის დროს ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის ნამღერი „ჩაკრულო“ გაუშვეს გალაქტიკაში.

ანზორ კავსაძე თხუთმეტი წელი ხელმძღვანელობდა გურჯაანის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლს, თვრამეტი წელი — ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელსაც გარკვეული წლები სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი ჰქონდა. ზუგდიდში მუშაობა 90-იან წლებამდე გააგრძელა. ანზორ კავსაძემ საკმაოდ ადრე დაანება სალოტბარო მოღვაწეობას თავი და ზუგდიდის შემდეგ ანსამბლი არა ჰყოლია. თავად საჯაროდ იშვიათად მღერის. აქვს დამუშავებული და საკუთარი სიმღერები. როცა ქალიშვილი შეეძინა, „იამა გმობა შობითა“ მიუძღვნა. ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“ მუსიკალურად მისი გაფორმებულია და დუეტებშიც თავად მღერის.

კავსაძეების გვარის ღირსეული შთამომავალი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ანზორ კავსაძე უმეტეს დროს მშობლიურ კაცხში ატარებს. უსმენს ხალხურ მუსიკას და უხარია, რომ ქართველი ახალგაზრდობა დაინტერესებულია ხალხური სიმღერით, ბევრი ჩინებული პროფესიონალი გვყავს და ხალხური ხელოვნების მომავალი საიმედო ხელშია.

და ბოლოს: ყველა კუთხის სიმღერა უყვარს, მაგრამ განსაკუთრებით პატივს სცემს ქართლ-კახურსა და სვანურს.



Georgian folk polyphonic song has passed a long way of development and perfection. During centuries a great treasure has been accumulated. The epoch of detection and popularization of great singers, song conductors, chanters, and singing families, has arrived at the verge of the XIX-XX centuries, when there started the process of their recording and fixing as well as of their performing on the stage. Unfortunately, there have not been preserved any materials of the activities and repertoire of the first groups of singers. Since Lado Agniashvili and Ioseb Ratil's "Georgian Choir" (their first concert was held in 1886) this mission was carried on by Sandro Kavsadze's "Georgian group" and their popularity was none the less then that of the former group.

The early representatives of the family of Kavsadzēs, their previous generations, can be observed only since Grogol Kavsadze. He appeared to live in the village of Khovle, and was a priest as well as a good singer and chanter. He had a numerous family. From Grigol's children, brothers Sandro and Longinoz and their progeny continued the singing and chanting tradition.

Representatives of the singing family of Kavsadzēs: Sandro, Gigusha, Dataška, Mikheil, Niko and Anzor Kavsadzēs, have left their own handwriting in the history of performance of the Georgian folk songs.

### **SANDRO KAVSADZE (1874-1939)**

At the beginnings of the scenic performance of folk songs in Georgia there stands the figure of Sandro Kavsadze. He has played a greatest role in the affair of popularization of Kartl-Kakhetian songs.

"The flawless mastership of Sandro Kavsadze as that of a performer-soloist, his colourful voice of rare beauty and wide diapason (tenor) and unusual, original interpretation of the Kartlian way of singing all ravish the listeners, and "Urmuli" and "Mtao, gadmishvi", sung by him, remain as model examples till the very present date" /Anzor Erkomaishvili/.

Sandro Kavsadze was born in 1874. His father taught him to sing, and in singing and chanting he acquired mastership under the guidance of Simon Goglichidze in Gori Seminary. He appointed Sandro to be his deputy in the group. In the same group Soso Jugashvili (Ioseb Stalin) used to master singing and chanting. Sandro Kavsadze in the ages of 15 and 17 served already as song conductor and attracted the attention of listeners with his excellent voice. In the same period he was invited to be a soloist of Lado Agniashvili's group.

In 1893 Sandro Kavsadze formed "Georgian group" in Gori, and in 1896, the

same in Tbilisi, in 1897, in Poti and started giving concerts all over Georgia.

In 1911 Sandro Kavsadze yielded his group to his nephew, Mikheil Kavsadze, who had just returned from Moscow, and he went himself to work and to create groups in the West of Georgia. He formed groups of Georgian folk singing in Chiatura, Tkibuli, Zestaponi, Sachkhere and Kutaisi, lead pedagogical activities.

In 1930 the 30<sup>th</sup> jubilee Sandro Kavsadze's of work was celebrated and he was awarded the honour of the Merited Art Figure.

In 1935 Sandro Kavsadze was transferred to Tbilisi and was commissioned to create and prepare the ethnographic group of the East of Georgia for the first decade of the Georgian art in Moscow. Sandro Kavsadze coped well with this task.

In 1937, after the decade celebration, in Kremlin, in the Giorgievski Hall, there was held the meeting between the members of Political Bureau and the participants of the decade. According to the scenario, Stalin was the last to enter. As soon as he entered, 'hurrah' was sounded. Stalin lifted up his hand, made them all silent and looked around - he search for someone with his eyes. The people became anxious, they didn't know what to do... At last, Stalin asked in a low voice: 'Is Sandro here?' Everyone breathed out with a relief. There has formed a live corridor: in one end Stalin was standing and in the other end, Sandro, and they were staring at each other. The first step was made by Stalin, Sandro stepped forward as well, they met in the middle and embraced each other. "You have not been changed", told him Stalin and gave him a pat on his shoulder. Sandro repeated the same gesture. The Leader repeated once again: "Indeed you are not changed"... Then they talked over something quietly; Stalin presumably told his friend: "You know, I am a great person and I can do a lot. Ask me if you need something."

"Present to me the pipe that you smoke with," asked Sandro without thinking too long. To tell it in short, the pipe presented by Stalin is still kept in the family of Kakhi Kavsadze, the famous actor, a grandson to Sandro.

After the decade celebration Sandro Kavsadze got ill and was hospitalized in the Kremlin Hospital, his throat was aching. He has received a letter from Stalin. On the envelope there was written in Russian: "To comrade Alexandre Kavsadze, from Stalin." And inside the letter was written in Georgian: "Cheers to Sandro! I happened to learn from Egnatashvili that you are in the Kremlin Hospital. This is bad, but doctors say about you that you will get better soon. If you need anything, please, tell me, I am ready for all kinds of help, do live for a thousand years. Your Soso. 1937."

After the decade Sandro Kavsadze's group was invited for a tour in Lenin-grad (now St. Petersburg in RF). Because of the grave illness of the father, the group was already lead by his son, Davit Kavsadze.

Sandro Kavsadze died in Tbilisi, on 12<sup>th</sup> June 1939. He was buried on the Vake Cemetery, in the Pantheon of Georgian Outstanding Figures.

## DAVIT (DATASHKA) KAVSADZE (1907 - 1952)

Datashka Kavsadze's concise biography was first published in 1966, and that even without the dates of his birth and demise. In this article the walk of his life was ended with his mobilization to the Second World War and his death in 1941 in Kerch. The truth is that Datashka Kavsadze lived until the age of 45 and died in 1952 in exile. His real biography is for the first time being written now, in 2007.

Davit Kavsadze was born in 1907 in Chiatura. Since 14 years of age he used to serve as song conductor for various groups of the West of Georgia. In 1929 he entered the second musical school of Tbilisi. In three years time he assimilated the whole course and became a student of the Faculty of Composition at the Conservatoire. Since his third year at the Conservatoire he changed his faculty for Conducting.

Since 1929 the brothers: Gigusha and Datashka Kavsadzes were the leading voices of Sandro Kavsadze's group. In song conducting, too, especially Datashka achieved mastership since his student years: he was always assisting his father and was his deputy in the ethnographic group.

In 1937-1939 the State Ethnographic Group of the East of Georgia has toured the cities of the Soviet Union with triumph under Davit Kavsadze's leadership. In Moscow and Leningrad more than 22 songs were recorded on the film. In 1939 ethnographic groups of the East and West of Georgia got united and Datashka Kavsadze was appointed as the artistic director, together with Kirile Pachkoria.

In 1941 Datashka, who was 34, was called up to the Second World War and "he has not returned alive from there..." So ends Datashka Kavsadze's official biography of the Soviet times. But so begins also the story which was concealed and tabooed for a long time.

From the story recited by his son, Kakhi Kavsadze: "Captive officers were executed by shooting immediately on the spot by the Germans. Datashka was searched and a photograph was found: his wife and two small boys: me and my brother. A German officer stared at the photo and then at Datashka and said: 'With such looks and such a wife and children, you cannot be a communist.' Thus Datashka was saved then from the evident peril. We didn't know of his captivity for a long time: we thought he was dead. Only a long afterwards we learned that he was in France, he had created a group from the Georgian captives and used to teach Georgian folk songs. Somehow the photo of the group has reached Georgia and now this photo is kept in our family. I have met a lot of people saved by my father. One Georgian man told me in Australia: 'I told your father I had never sung in my life. Go then, go, save yourself, came the answer.' So he has saved a lot of people from death. Whoever returned to the homeland, everyone was arrested and exiled..."

Is the repertoire of the group of the captives recorded, is it preserved or it has vanished? It is difficult to answer. May be it is kept in any of the archives in France. This is the subject of future investigations...

In December 1945 the group of captives should go to America for touring. Instead of this Datashka went back to Moscow. He was told he would be arrested. He wondered what his crime was, why he should be arrested. He had not seen his wife and children for four years so he went to Tbilisi, but was arrested in Sochi...

His wife and children saw Datashka twice in the prison, and at their third visit they were told that he was brought to exile. Tamar Tsagareishvili, his wife, said at once that it was all ended and he would never come back...

Datashka Kavsadze died in 1952 in exile, or may be he was executed?! His grave is unknown.

In 2007 it is the 100<sup>th</sup> anniversary since Datashka's birth. It is exactly to his warm memory, that this edition is devoted.

### **MIKHEIL KAVSADZE (1880 - 1951)**

Longinoz Kavsadze's eldest son, together with his sisters and brothers (Andro, Niko, Lado, Vera) used to listen to the songs and chants in the family ever since his childhood. It was from here that he assimilated them and grew fond of them and served them until the end. The Georgian chants and concerts of Ratil's group, which he heard in his childhood, have left an inerasable trace on the future song conductor. He remembers well how Ratil used to write in music scores the songs of Grandpa Grigol and Mikheil's father and uncles.

There has not been such a period in Mikheil Kavsadze's life and deeds that he wouldn't have a group of singers or that he would have ceased his pedagogical activities. Also permanently he used to publish articles on the essence of the Georgian songs and chants, their nature, character and performability. He used to collect songs, transform them in music scores, used to collaborate with press as well. Mikheil Kavsadze's groups are all participants of all festivals since 1929.

This merited art figure, Mikheil Kavsadze died in Tbilisi in May 1951.

### **ANZOR KAVSADZE (1930)**

Anzor Kavsadze, a grandchild to Sando Kavsadze, the eldest son of Giorgi (Gigusha) Kavsadze, song conductor, one of the famous specialists of the choro song, was born on 7th August, 1930 in Chiatura. To this descendent of the singing family, the mother was also a good singer: Alexandra Lezhava; it was her who first gave him communion to the song, but he still remembers how his

grandpa Sandro made him sing his songs. Anzor had good ears for music, he used to sing well and played a little the piano, too.

During his school years he had a group and used to teach them the songs which he knew. He graduated from the school in 1947 and in the same year continued his studies in the Technical University. Genes and family tradition used to draw him back to music still: in 1951 he was admitted to the group singing and conducting faculty at the Tbilisi State Conservatoire, from which he has graduated with honours. In 1951 he used to be a postgraduate student in Odyssey Dimitriadis's class. In 1959 the twenty-six year old young man became the chief conductor of the State Ensemble of Song and Dance of Georgia and he lead it during two decades. Anzor Kavsadze's personal features: industriousness, discipline, sense of time and high professionalism soon made their impact on the Ensemble and they have won much success together. Together with the State Ensemble he toured in 24 countries of the world. In the cities of the Soviet Union he used to hold up to 100 concerts per year. It was under Anzor's leadership that the song performed by the soloists: Iliia Zakaidze and Rostom Saginashvili, "Chakrulo", was released into the galaxy (on board of "Pioneer") together with other outstanding achievements of the global civilization.

This worthy heir of the singing family of Kavsadzes, the merited figure of the Georgian art, Public Artist of Georgia, Professor Anzor Kavsadze spends most of his time in his home place in Katskhi. He listens to the folk music and is very happy that the Georgian youth is interested in the folk songs and that we have a lot of brilliant professionals and thus the future of the folk art is in faithful hands.



საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, 1939  
State Ensemble of Folk Song and Dance of Georgia, 1939